ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3984106

ნომერი: AR1592726

თარიღი : 13.04.2018

გაცემის თარიღი : 28.05.2018

გაცნობის თარიღი : 29.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 73ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 73;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან დავლაძე პ/ნ 01017003377
- კოსტავას ქ. 60 ბ.8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი, N 73ა -ში, ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 73 –ში, შპს "მუხამბაზი" -ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკლამო აბრების (მოცულობითი ასოების) მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნე¬ბართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 892018219546 15.03.2018 წ., საკადასტრო კოდი N 01.13.02.008.145, არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი, N 73ა -ში, ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 73 –ში, შპს "მუხამბაზი" -ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკლამო აბრების (მოცულობითი ასოების) მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ: სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.